

# დ რ მ ე ბ

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 243

კვირა, 1 ნოემბერი 1909 წ.

დამატების № 43

### უსიამოვნო წამი

მოთხრობა პოლ. მარგერიტისა.

სადგურ ლიონზე ჩემს მეგობარს რევოლის მოველოდი. მატარებელი უკვე სადგურს უახლოვდებოდა, რევოლი ერთ-ბაშად ვერ ვიცანი. ვაგონიდან, რომელიც სწორედ ჩემ წინ შედგა, ჯერ ერთი სქელი კაცი გადმოვიდა. შემდეგ მას გადმოჰყვა ასეთივე სქელი დედაკაცი ორის ზორბად ჩასუქებულის ბავშვით, რომელთაც მხრებზე საკვოიანები ეკიდათ და შალეები ჰქონდათ წამოსხმული. მერე გადმოვიდა უშველებელი სქელი ძიძა, რომელსაც ხელში ჩასუქებული ბავშვი ეჭირა. ახლა ამათ მოჰყვა ბარგი: გალიები სხვა-და-სხვა ფრინველით; საკერი მანქანა და უზარმაზარი ჩასუქებული ძაღლი, რომელიც სკამის ქვეშედან ძლივს გამოათრის. ბოლოს, როგორც იყო, რევოლიც გამოჩნდა. უიმისოდაც მეტად გამხდარი, ამ სურათის შემდეგ სრულიად ჩამომხმარი მეჩვენა.

— საწყალი რევოლი! — წამოვიძახე უნებურად.

— არა, არა, თუ ღმერთი გწამს, ნუ შიბრალებ! მიპასუხა რევოლიმ: — პირიქით, ელოცავ და ვმადლობ ამ ხალხს... რომ იცოდე, როგორ მომეშვა გულიდან, როცა ესენი შემოვიდნენ; თითქმის აღტაცებაში მოვედი ამ ჩასუქებულის ხალხის ნახვით, რადგან სულ ორიოდ წამის წინად ერთმა კუიდან შეშლილმა, ცოტას გაწყდა, სული არ გამაფრთხობინა. წარმოიდგინე, მთელი ნახევარი საათი თვალი თვალს გაყრილები შევეყურებდით ერთმანეთს და რევოლვერიც მზადა ჰქონდა, მემუქრებოდა--ან ეხლა ან ეხლა დაგცემო.

— როგორ თუ შეშლილი?

— დიად, და მერე, რომ იცოდე, როგორი შეშლილი!.. წავიდეთ, ყველაფერს გიამბობ. ეხლა, მართალია, ვიცინი, მაგრამ ზოგი მაშინ უნდა გენახა...

ბარგი ეტლით წავადებინეთ, ჩვენ-კი ფეხით წავედით. გზაზე რევოლიმ შემდეგი მიახმო.

ლაროში პირველი კლასის განყოფილებაში ჩავჯექი. იქ ჩემს ვარდა, ერთი სხვა კაცი იჯდა. რომელსაც ჩემ პირდაპირ მოეკალათნა. იგი ფანჯარაში გაიყურებოდა. მატა-

რბელი დაიძრა. ჩემმა მეზობელმა მალე ჩემკენაც გამოიხედა. იმისმა გამომეტყველებამა და გაცინებამ მაშინვე როგორღაც ცუდად იმოქმედა ჩემზე, თუმცა არ მესმოდა—სად. სახე მოგძო ჰქონდა, წვერი ორად გაყოფილი. გაწოწლოკინევებულს ასეთსავე მოგძო თავზე არც ერთი ბალანი არ უჩანდა. იმის გაცინებასა და მოთეთრო-მომწვანო თვლებში რაღაც უმოძრაობა და მოუსვენრობა იხატებოდა. მაინც, როგორც შევატყე სცდილობდა—როგორმე უფრო თავაზიანი ყოფილიყო.

— სუნი არ გეჯავრებათ? — დამეკითხა.

ვიფიქრე, უთუოდ სიგარის მოწვევას აპირებს მეთქი, მაგრამ ზხელში არა ეჭირა-რა. მეც ისე გამოურკველად შევიშმუნე, როგორც თხოვნა იყო. ახლა კი ზრდილობიანად და თავაზიანად დაიწყა აღსნა:

— ცოტა არ იყოს, ბუზების სუნი სდგას. მართალია, ისეთი საძაგელი სუნი არ უდით ბუზებს, მაგრამ ამასაც მიხვევა უნდა... თქვენ ექიმი ხართ?

მე თავი გავაქნიე — არა მეთქი. მაგრამ ეტყობოდა არ მიჯერებდა და თავით ფეხამდე ექვის თვალით მათვლიერებდა. ჩემი გულ-წრფელი პასუხი სიცრუე ეგონა. შემდეგ დაიწყა:


— მე კი ექიმი ვარ! და საკმაოდ კარგადა მაქვს შესწავლული მფრინავი ცხოველები; ჩემს ყურადღებას მხოლოდ ისინი იპყრობენ. ამ მხრივ ბევრი საყურადღებო გამოკვლევაცა მაქვს. აი, მაგალითად, საუცხოვო და სასიამოვნო სუნი აქვს ცხვირ-წერწეტას.

— აა! — წამოვიძახე შეშფოთებულმა. მეზობელი-კი თვალს არ მაშორებდა. ფანჯარაში გავიხედე, მატარებელი საშინელის სისწრაფით მიჰქროდა, გზის მაჩვენებელ წიგნშიაც ჩავიხედე. მაგრამ ჟუნვალამდე ერთი საათის მანძილი კიდევ იყო. მერე ზარს დაუწყე თვალთ ძებნა, მაგრამ იგი სწორედ შეშლილის უკან იყო. მეზობელი თავს ერთ წამსაც არ მაშორებდა. შემდეგ სასტიკად შემომხედა და ბრძანების კილოთი შემომძახა:

— არა, თქვენ უთუოდ ექიმი ხართ?

— არა, სრულიად არ ვარ ექიმი.

— მაშ, ზარს რად უყურებთ? დამეკითხა სწორედ ისე უხერხულადა და უადგილოდ, როგორც გიყვებოდა იციან.— მაშ ზარს რად უყურებთ?



პირველი მწუხარება.

ქანდაკება გრანეიტრანეშის.

მერე გადისხნა მშვენიერი, ბეწვის საყელოიანი პალტო და პატარა რევოლვერი ამოიღო.

— მითხარით სწორედ, ექიმი ხართ თუ არა? — დამეკითხა კიდევ.

— გეფიცებით, არა მეთქი! — გაუუმეორე სასოწარკვეთილად. თანაც იმის ფიქრში ვიყავი, როგორ მოვქცეულიყავი: მივარდნოდი, იარაღი გამომეტაცნა და ლამაზად დამეზილა, თუ მშვიდობიანის ქცევით, სიწყნარით მომექმდნა.

— მაშ თქვენ გიყი ჰყოფილხართ! — მიპასუხა მოწყენილის კილოთი: — სწორედ მებრალებით! — მერე განაგრძო: — მე გიყები არ მიყვარან. მაგრამ მაინც ვეჭიმობ მხოლოდ კაცთ-მოყვარეობის გულისათვის, იმისთვის რომ მალაღის სულის პატრონი ვარ. საავადმყოფოში ეხლა ოთხი ათას ხუთას ოცდა-შვიდი გიყი მიწევს. უკაცრაოდ, — თითონვე გასწყვიტა სიტყვა: — ოთხი ათას ხუთას ოცდა ექვსი კაცი. სულ დამავიწყდა, რომ ერთი გუშინ მომიკვდა.

— აა, მერე, რითი მოკვდა?

— რა ძნელი ეგ არის მერე, მე მოვკალი! — მიპასუხა შეშლილმა; მერე რევოლვერის ჩახმახს დასწია და ტყვია ფანჯარაში ზუზუნით გაფარდა.

— აი, ასე! — ამიხსნა ჩემმა მეზობელმა.

და ბალიშს ისეთის კმაყოფილებით მიეყრდნო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს თანაც რევოლვერს ხელიდამ არ უშვებდა და პირდაპირ ჩემკენ მოეშვირა. ვაგონი ბოლით გაივსო. რევოლვერის ხმა მაჭარებლის ქშიტინმა და გუგუნმა დაჰფარა.

— ეს იმიტომ ვიამბეთ, რომ გიყებისა არ მეშინიან. აბა ერთი, თუ ღმერთი გწამთ, რომელიმე არია გეცოდინებათ ოპერიდან, მიმღერეთ! — მომმართა მეტად ალერსიანისა, ცბიერისა და დაბეჯითებითის კილოთი.

— არა, სიმღერა არ ვიცი... დავიწყე მე.

— სტყუით! — შემომღრიალა შეშლილმა: — იცით სიმღერა, მაგრამ არ გინდათ იმღეროთ, გინდათ გამასულელოთ, მომატყუოთ! ყველანი ასეთი ხართ, კარგად გიცნობთ!

ახლა კი ლაპარაკის კილო გამოიცვალა და შესაბრალისად, საცოდავად და ცრემლომორეულმა დაიწყო:

— არ იცით, ბატონო, „ის უღმერთოები“ როგორ მტანჯავდნენ, ადუღებულს შაბიამანს მასხამდნენ, ინგლისურის სასხურებლით მაწვეთებდნენ... მძულან, მეჯავრებიან, ისინიც და მათი წამლებიც! — მერე-კი ისევ ბრაზმა მოუარა: — გიბრძანებთ, იმღეროთ! ნუ უცქერით ნურც ფანჯარასა და ნურც ზარსა, გესმით! იცოდეთ, აქ ჩვენ გვერდით, განყოფილებაში არავინა ზის: მე ეს კარგად ვიცი, წელან შევიხედე. იმღერეთ, მუსიკა საშინლად მიყვარს! — და რევოლვერი დამიმიზნა: — აი ათამდე დავთვლი: ერთი, ორი, სამი...

მე შვიდამდე დათვლა არც-კი დავაცადე და რაც, და და ღონე მქონდა, მღერა დავიწყე. სიმღერაზე შეშლილი ერთთავად თავს იქნევდა. როგორცა სჩანდა, დიდს ნეტარებასა ჰგრძნობდა.

— არა უჭირს-რა! — შენიშნა ჩემმა მეზობელმა, როდესაც სიმღერის მეორე მუხლი გავათავე. — ფრენა კი არ იცით?

განცვიფრებულმა და შეშინებულმა შევხედე;

— ჰო, ფრენა! და მოჰყვა ჰაერში ხელების ქნევას: — აი, ასე ჰაერში ფრენა?

ალარ ვიცოდი რა მეთქვა: მეთქვა — არ ვიცი — მეთქი, ვაი თუ პირდაპირ ტყვია ეთავაზნა გულში. შეშლილის თვალეებში ამ დროს იხატებოდა სიბრალულიცა და გამარჯვებაც.

— მე-კი ვიცი ფრენა, — მიპასუხა.

მე, ცოტა არ იყოს, იმედი მომეცა და თავი ისე ვაჩვენე, ვითომ ძალიან გამეხარდა.

— ამას-კი აღარ მოელოდით, განა? — შემომძახა მან: — არ გეგონათ, თუ ფრენა ვიცოდი, არა? თქვენ, ვიცი, უთუოდ ვიქრობდით: „აი, უბედური, საცოდავი ადამიანი, რომელმაც თავისს სიცოცხლეში არა იცის-რა, სულელიო“. უარს ნუ იტყვით, ხომ სწორედ ამას ფიქრობდით. მე კარგად ვიცი! ხა, ხა, ხა, ხა!

— ბუჰ! — გაისმა ჰაერში რევოლვერის ხმა. ჩემმა შეშლილმა მეგობარმა კვლავ რევოლვერი დასცალა.

— აი, ესეც თქვენი აზრი! ჰხედავთ, როგორ ჰაერშივე სული გავაფრთხობინე! აგრე, სხვა დროს გირჩევთ, მიფრთხილდეთ!

— თქვენ, ვგონებ, ფრენაზე ლაპარაკობდით: — როგორც იყო, გავბედე ბოლოს. — ოო, რა ბედნიერი ვიქნები, რომ მართლა ვნახო როგორმე, როგორ დაფრინავენ ჰაერში. საუცხოვო რამ უნდა იყოს უთუოდ...



თავ. ა. მ. მარისტავი,

სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩეული.

და თანაც ტაში გავკარი, ვითომ ალტაცებულმა. ჩემს მეზობელს სახე უცხად შეეცვალა, გახარებულმა შემომხედდა.

— მაშ, მართლა გინდათ ნახოთ? გულწრფელად ამბობთ მაგას? ეხლავე გაჩვენებთ...

სახე გაუბრწყინდა, ხმაც გაუმედიდურდა.

— მაშ, აბა მიცქირეთ!

დასწვდა კარებსა და გამოაღო, შემდეგ ცოტა უკან დაიწია, რომ გაქანებულიყო, მაგრამ უცხად, თითქოს გონს მოვიდაო, ექვიანად დამეკითხა:

— მაშ თქვენ ექიმი არა ხართ?

ამ სიტყვების გაგონებაზე ისეთი სასოწარკვეთილება და რაღაცა სულელური შიში აღმებეჭდა სახეზე, რომ თვითონ მასვე შევებრალე.

— არა, ტყუილს ვამბობ, თქვენ ექიმი არ ხართ. ვანა ვერა გხედავთ: გიყი ხართ. აი, ხომ ჰხედავთ, მე მხოლოდ გიყების გულისათვის ვისწავლე ფრენა, რომ თავიანთ გალიებიდან გამოსვლა ადვილად შეეძლოთ და კიდევ, ჰო, დამავიწყდა, ბუზებისათვის, რომ ამ უბედურებს დაუღლეოდ შეეძლოთ სამუშაო ადგილას მისვლა. ამ რიგად, ჩემი გამოკვლევა დიდ სიკეთეს მოუტანს კაცობრიობას. აი, ეხლავე ნახავთ, როგორ გავფრინდები. მე სწორედ იმ გზით წავალ რომლითაც ეს ჩვენი მატარებელი მიდის და ჰნახავთ, რომ მონტეროს ამაზე ადრე ჩავალ. აბა, მიყურეთ!

მისი სამკუთხი სახე იქამდის ალტაცებული იყო, მისი თვალები იქამდის სიკეთისა და ნდობის გამომეტყველი, რომ ველარ მოვითმინე და გული სიბრალულით ამევსო.

— მოითმინეთ! — შევეუძახე, — მოითმინეთ! მე-კი მჯერა, მაგრამ აბა იფიქრეთ, ხალხი როგორ დაიჯერებს. აი, ეხლავე სადგურზე მივალთ...

შეშლილმა საათს დაჰხედა...

— თერთმეტის წამის შემდეგ.

— ეხლავე სადგურზე მივალთ, მაშინვე გაფრინდით მაღლა, მაღლა თვალუწვდენ სივრცეში, ყველანი შიწაზე დაემხოიან, სადგურის უფროსიც მოწიწებით დაგიწყებთ ქულის ქნევას. მე-კი ჰაერს „ვაშა-ვაშას“ ძახილით გავაყრუებ.

— ჰო, ჰო! — შესაბა შეშლილმა. სადგურის უფროსიც!.. თქვენც... „ვაშას“ დაიძახებთ...

და ამ აღტაცებაში ჯერ ფლოსტები გაიძრო და ფანჯრიდან გადაუძახა, მერე შარვალი მიაყოლა. ახლა საცვლების გახდა დაიწყა.

— ფეხებში ნუ მიცქერით! — შემომადახა ქშენითა და პერანგის ქნევა დაიწყო: ამ გვარად კაცი ბევრი არაფერი სანახავია. თუშეცა მე, მართალი რომ ვსთქვა, კარგი და ლაშაზი ფეხები მაქვს.

ამ დროს მატარებელმაც დაუსტვინა და სიარულს უკლო.

— აი, ეხლა-კი კაი დროა, — წამოიძახა შეშლილმა: ო, რამდენი ხალხია! აგერ სადგურის უფროსიც გამოჩნდა. მიყურეთ, მიყურეთ, მიფრინავ!

და შეშლილი კარებისაკენ გაქანდა. მაგრამ აქ ორმა ზორბა და მოსულმა მოსამსახურე ბიჭმა და ექიმმა გააკავეს. ამათ თურმე აღრევე აცნობეს შეშლილის გაქცევა და სადგურზე უკლიდნენ. თვალის დახამხამებაზე შეშლილი გაბოჰილი იყო, მხოლოდ შიშველა ფეხებს-ლა იქნევდა საცოდავად. წაიყვანეს.

— და აი, სწორედ ამ დროს შემობარგდა ჩვენს ვაგონში ის ჩასუქებული ოჯახი — დაათვა რევოლმა თავისი ამბავი: — მე მაშინვე გახარებული ვეცი, დალაგება ვუშველდე და რაღაც სიამოვნებით ვუაღერებდი იმათ ძაღლს, რომლის ად მიანური, გონივრული თვალები თითქოს მამვიდებდა.

ა. ა — შვილიხა.

# მ ა მ ა

(დასასრული \*)

შენზე კი მართლაც ითქმის „ჰამლეტის“ სიტყვები (შენის თარგმანით, მამა!).

„იგი ნამდვილათ კაცი იყო, დიად კაცური! აწ ველარ ვნახო მე მისებრი ზნე მამაცური“.

მაპატიე!

მეორე ტაეზი ეგ ჩემი სიყვარულია, თორემ, ვიცი გეწყინება!

შენ მომავლისა მუდამ დიდი იმედი გქონდა.

უთუოდ ამ „ადამიანობის“ გამო არ იყავი არაფრის სპეციალისტი, მაგრამ ყოველივე კი ზედმიწევნით იცოდი.

ექიმი, მეურნე, ვარსკვლავთ-მრიცხველი, ბუნების-მეტყველი, ფინანსისტი, იურისტი, ლინგვისტი—ყველა ესენი შენში თავს იყრიდენ, მაგრამ ისე რომ ერთი მეორეს არ უშლიდა, ისე რომ არ იცოდი, რომლისათვის მიმეცა უპირატესობა.

ეს ტყუილა სიტყვები არ არის და შვილის გატაცებული ქებათა-ქება.

ამას დაბიძგებებს ის თითო-ორი მგობარი, რომელიც ცოცხალია და, რომელთაც შესწავლილი ჰყავდათ, დიად, სწორედ შესწავლილი ეს მართლაც უცხო პიროვნება.

შეუსწავლელად, უგასაღებოთ ვერ მიუღებოდი ამ საკვირველ ლაბორატორიას.

ამისათვის მოუძნალებელს ის მხოლოდ მოგიტაცებდათ, როგორც ძლიერი ანდამატი, როგორც ყოველი დიდ-ბუნებოვანი პიროვნება.

მაგრამ კარგათ იცით, რომ ესეთი შეუგნებელი მოხიბლვა

ყოველთვის სიმთვრალესა ჰგავს, რომლის შემდეგ გამოფხიზლება მუდამ მწარეა ხოლმე.

გამოფხიზლებული მოხიბლველს აძაგებ. ნამდვილათ კი თვით ვერ გისარგებლნია მითი რიგიანათ.

ბევრი იყო მამას გარშემო ესეთებიც, თითქო იმიტომ-ერთხელ კიდე განემტკიცებინათ ეს ქეშმარიტება.

ლეონარდო და-ვინჩი!

აი, მამა, შენი მოსაწონი გმირი.

რამდენჯერ გაიმბნია მის შესახებ. მერე როგორის გატაცებით!

თუშეცა, რას ვამბობ!

როდის იყო, რომ რაც უნდა გეამბნა ან თვითონ არ გატაცებულიყავ და ან მსმენელები არ გაგეტაცნა?

ავადმყოფსაც კი.

ბოლო ხანებში მაინც მისუსტებულს და ბევრ რამის გამო გულ გატეხილს, ცოტა მოღლილსაც არა გმორიდებოდა ეგ ქაბუკური ენტუზიაზმი.

— ცურვაც კი იცოდა და-ვინჩიმო!

შენა?

ეს თითქო უხუმარი კაცი, თითქო ოლიმპიელი. ხელოვანი მცურავიც რომ იყავ, ჩინებული მედაირიც, საუცხოვო მეჩანგურიც.

განთქმულ გუგუნავებსაც რომ არ ჩამოუვარდებოდი. მახსოვს შენა და საპატიო გამლექსავი „თამარიანი“-სა, ჩანგურის დაკვრაშიაც და შაირებშიაც რომ შეეჯიბრეთ ერთი მეორეს.

ან და გახსოვს, მამა?

შინა ვართ. საქმი ღღე დასრულდა.

მშვენიერი მაისის ღამე ეს არის მიბინდდა. ჯადოსნური მთვარე საცაა გამოუსხლტება ჯოლევის გორას და სანეტაროთ, ზღაპრულათ გააშუქებს ჩვენს, საერთო საყვარელ, ტკბილსა და მარდს მდინარე ტეხურს. მისი შხუილი უკვე გარკვევით მოესმის ყურს, თითქო გვიწვევს სამოძრაოთ, საბრძოლველათაო.

— არ დამყაყდეთ, ტბორე არ შექმნათ, ჩემსავით კაშაშა, ფიცხი ცინცხლები ჰყარეთო! — მაგრამ აბა შენგან შეიძლება დამყაყება, მამა! თვით შენ რომ სრული ანკარება ხარ, სიწრფოება, წმინდა ღუღილი. უგდებ ყურს ამ მდინარეს და სხვა ბუნების საიდუმლო ხმათა, რომლის ყოველ-გვარი კილოვნებაც კი საკვირვლათ გესმის, შესცქერი მაღლა შენს საყვარელს სამყაროს და ვინ იცის შენი მაღალი ფიქრი, ოცნება საით მიგაქროლებს. თითქო ჩვენთან არა ხარო. მაგრამ ჩვენთან ყოფილხარ—მოითხოვე ჩანგი, ჩანგური, გიტარა. დავსხედით ჩვენი მუხის ქვეშ სამნივე მამა-შვილნი. შენ ჩანგური აიღე, ჩემმა დამ ჩანგი, მეც გიტარა და... გაისმა „ძველი ქართული წაჰ“, როგორც შენ ეძახდი. ეს მარშია საომრათ მიმავლის ჯარისა. ბრძოლათ მწვევი ხმებია. თითქო მდინარე ზეხურს პასუხი გავეცითო!

ნუ გეშინია, შენით გაზრდილს ბრძოლა არ გვაფიწყებდაო. მაგრამ აი ხმები იცვლება. ეხლა მოთქმამა, ჩვენი ერის ტანჯვა, კვნესა-ტირილი. „მონობა საშინელი, მონობა ბნელი, ვით შავი ღამე“. მაგრამ ამ შავ-ღამეშიაც გაინათა უცხო ცისკარმა, საიმედო კილოვნება ჯერ გაუბედავით ჟღერს, მაგრამ აგერ ვაჟკაცდება, მოწიფულდება და თავისუფალი ლაღი ძგერა ახალგაზდა ფილტვებისა გარემოს სანეტაროთ ეფინება და უკვე იწყება ბედნიერება. საზეიმო ხმებით, სამეჯლისო კილოვნებით თავდება... კონცერტი. ეს მართლა კონცერტია მხოლოდ მას თავისი ჩარჩო უნდა, თავისი წრე-მამა უნდა, საყვარელი მამა თავისებური სულის მიმცემი ამ ხმებისადმი, მფეთქავი გული ამ მუსიკისა...

გული აღარ ფეთქს!.. მუსიკა აღარა ჟღერს! რა დაცინვაა!

ფრთები არის, ტანი კი აღარ!.. მაგრამ ჯერ სურათი არ დასრულებულა. მარტო მამა უკრავს ახლა.

ეს ყველაზე უკეთესია. ეს თვითონ არის მისი თვითება, მისი კილო, მისი სულის კვეთება.

არა, ამას ვერ აფიქრთ! ჩემთვის ეს ისეთი მიუწვდომელი რამ არის გაცნობისა

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 42.

ცემთ და ისე მწვავე საგრძობლოთ, რომ მიჩვენია მარტო ჩემს ცრემლებში ვაზოვა შვება.

მაგრამ ერთხელ სწორეთ გამაკვირვე, მამა!

შენ და ცეკვა!

თითქო შენ კაბინეთის კაცი ხარ, თითქო შენი სხეული ზარმაცათ გამოიყურება, ბეჭებშია ცოტა წახრილი რომ ხარ, მუდამ წიგნებსა და ქაღალდებს ჩაკეცებიხარ.

სად გაქრა ეს ნაკლი?

სრულიად გამართული რომ იყავი, სხეულიც მოქნილი რომ გამოგაჩნდა, ფეხებიც ცქვიტი და მარდი, თითქოს ამის მეტი შენს ცხოვრებაში არა გეკეთებინოს-რა.

ჰა, ჰა!

საყვარელი მამიდა შენიც რომ გააკვირვე! რა დაგიძახა?

— შენცარი რექ, ნიკო, შენცარი!

რექ—ხარ, მენცარი—თითქო მეცნიერსაც ნიშნავს და ეშმაკსაც, კუდიანსაც. სახასიათო სიტყვაა.

ერთმა მეგობარმა მითხრა: — მამა შენი სენ-სიმონისტი ყოფილაო!

არა.

არავითარი „ისტი“ ის არ ყოფილა.

ის იყო თვით ნიკო დადიანი და ეს არის კიდევ მგონი მისი პიროვნების სიმდიდრეც.

მისი ცოდნა მგონი ჩამოვთვალე.

არ იცოდა: ღვინის სმა, ბანქოს<sup>1</sup> თამაში და... თოფის სროლა. საზოგადოთ არავითარ სისხლის საღვრელ იარაღის ხმარება.

ჩვენს სახლში არც არასოდეს ყოფილა, როგორც ჩვენი საკუთრება, თოფ-დამბაჩ-ლეკურები.

ასეთი კაცი, რასაკვირველია, არც მონადირე იყო; მაშასადამე არც ომიანობისა და სისხლის ღვრის მომხრე.

ბაბუა ჩემს, ტაია დადიანს სწყინდა თურმე — რა შვილი მრჩებაო! ნადირობა მაგან არიცის და თოფის სროლაო!...

მაგრამ სამაგივრათ ბებია ჩემს, მარიამ აბაშიძის ქალს, რომლის სათნო სახე მეც მახსოვს, ვინ იცის შეიძლება უხაროდა კიდევ, რომ მისი „ბამბის ქულა“ ინიკო ესეთ შვილობის მოყვარული კაცი ღვებოდა. მე მგონი ბებიას, საზოგადოთ მაღალ ნიჭიერ ქალს და აგრეთვე დიდათ მცოდნეს „მაშინდელის ქართულის მწიგნობრობისა, თავისი ღრმა გონებით კარგა განჭკურებული ჰქონდა, რომ კაცობრიობას სისხლის ღვრა ვერ იხსნის...

ესლა კი ისევ შენ, მამა ჩემო!

მწირო ცხოვრებაში და თითქო მივიწყებულა სიკვდილის შემდეგ.

შენს „სიჩუმეს“, შენს „ჩრდილში დგომას“ არ შეფერის მეტის მეტი გამოფენილობა, შენ არ გიყვარს ეგ.

მაგრამ ნუ თუ მეტათ გრძლიათ მომივიდა ლაპარაკი?

მე მინდოდა აღმენიშნა, რომ შენი ხსოვნა არამც თუ შენი შვილების გულში, არამედ კიდევ რამოდენიმე მეგობრების გულშიაც არსებობს ეს ჯერ.

ეს მხოლოდ კვირტია შენის ხსოვნისა.

მე კი მჯერა: მოვა დრო და ეგ კვირტი საყოველთაოდ გაიშლება ყველას გულში, რომ მოიტანოს ის მართლა მაცოცხლებელი გამამხნეველებელი სურნელება, რომლის გამეფებასაც ეგრე შეუდრეკლათ ემსახურებოდი სამარის კარებამდე.

ეს ასეც უნდა იქმნეს.

ეს თითქო უნდა დაკანონდეს კიდევ.

შენისთანების ცხოველ-მყოფელი, გამომაცოცხლებელი მაგალითი, რაც შეიძლება ახლოს და რაც შეიძლება გარკვევით თვალწინ უნდა ედგეს სწორედ იმ ჩაგრულებს და იმ ტანჯულებს, რომელთაც თქვენ ესარჩლებოდით. რომ ის დარწმუნდეს: არა, ქვეყნად ბოროტებას მთლად არ წაუღეკია ყოველივე, ამისთანა მოციქულებს მოუტანიათ ქეშმარიტების მნათობი და გამომობი უჩუდილი, რომ ჩვენ ამ დიდ სინათლემდის მოგველწიაო.

შენ ასეთი მეუჩუდილოე იყავი, მამა, და მომიტევე თუ ასე საჯაროთ ვერ გელევი დასავიწყებლათ.

როდესაც ზოგჯერ შავი ფიქრები მოგაწვებოდნენ, გვეტყოდი ხოლმე: — მე როცა შორს წავალ, ძალიან შორსაო... ვინ იცის ჩემზე რა ხმებს არ გაავრცელებნო.

მე მაკვირვებდა — რა ახირებული კაცია მამა-მეთქი. რაებს ლაპარაკობს, სად მიდის ასე შორს?

ერთხელ ჩემმა დამ გკითხა კიდევ: — მერე აღარ და? რუნდებიო?



**თავადი იბო,**

იაპონიის სახელმწიფო მოღვაწე, ამას წინად ხარბინში მოკლული კორეელის მიერ. მარცხნივ ზის თვითონ იბო, მარჯვნივ — მისი ცოლი, ფეხზე სდგას — შვილი. ბავშვები შვილის-შვილები არიან. ყველას იაპონური ტანისამოსი აცვია.

შენ გულიანათ გაგეცინა, მაგრამ ნაღვლის ცრემლი თვალს შეგამჩნიე.

დიად, მართალი იყავ თურმე.

რა არ გაავრცელეს.

მკვდარი ხარ და ცოცხალიაო!

შეიძლება ეს ჩირქ-მოსაცხებლათაც იყო გამოგონილი, მაგრამ...

უგუნურებმა ის ვერ გაიგეს, რომ ამ ლეგენდით მათ დაამტკიცეს შენი უკვდავობა.

დიად, შენ ცოცხალი ხარ და იცოცხლებ მაშინაც კი, როდესაც შენგან გმობილი „საპყრობილე თეორიისა“ \*) სულ დაინგრევა.

ესლა კი:

„მამა ღუმილიც მიმიტვალენ შენდამი ლოცვად“.

\*) ერთი ხაუპეთესო მის ლექსთაგანი.

შალვა დადიანი.